

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრის აპარატი



2016 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ა/რ აპარატის მიერ განხორციელებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ნდობის აღდგენისა და შერიგების (სფეროში) ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დამორიშორებულ საზოგადოებას შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

აქედან მიმდინარე, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობა მიმდინარეობდა დებულებით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

ურთიერთობა საქართველოს ფედერალურ უწყებებთან და ჩართულობა 2016 წლის გამოწვევების განხორციელებაში

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები იმ უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელებიც, მინისტრის აპარატის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობასთან.

კერძოდ,

- ჩატარდა საქმიანი შეხვედრები დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატთან და მოხდა შეთანხმება გრძელვადიან ერთობლივ სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში. აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატს, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში, საშუალება ეძლევა ჩართულ იქნას იმ პროექტებში, რომელსაც ახორციელებს დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატი, თავის მხრივ დიასპორის საკითხებში

საქართველოს მინისტრის აპარატი გრძელვადიან პერსპექტივაში გეგმავს აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ შექმნილ ახალ უწყებასთან აქტიურ ჩართულობას ახალი უწყების შიდა პროექტებში.

- აქტიური მუშაობა მიმდინარეობს იმერეთის რეგიონთან, რომელიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში სამშვიდობო რესურსების მობილიზებას და ამ საკითხის პოპულარიზაციას ეხება. აღნიშნული პროექტი გრძელვადიანია.
- საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა ასევე პროგრამა, აჭარის რეგიონის სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობასთან დაკავშირებით, ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსების მოძიებასთან მიმართებაში აღნიშნულ რეგიონში. მიმდინარეობს მოლაპარაკებები განსახორციელებელ ღონისძიებებთან მიმართებაში.
- საქმიანი ურთიერთობები დამყარდა შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელნიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის დებულებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას უწყობს ხელს. კერძოდ:

- საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია - ედუკატორი (პოლონეთი, ვარშავა)
- დელ ბიანკოს ფონდი (იტალია. ქალაქი ფლორენცია) ფლორენცია
- იტალიური ორგანიზაცია „ლიბელულა“ (იტალია ქალაქი - პალერმო)
- იტალიური ორგანიზაცია „პრომეთეო“ (იტალია, ქალაქი - პალერმო)
- არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და განათლება“
- დიტრიხ ბოილის ფონდი
- ბერგჰოფის ფონდი
- ებერტის ფონდი
- საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგია“
- კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი“
- კავკასიური სახლი

- ცხუმ აფხაზეთის აკადემია
- ბავშვთა ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა

განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სტრატეგიის ნაწილია სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობას, ტოლერანტობის უნარ-ჩვევების განვითარებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, წიგნიერების დონის ამაღლებას, წიგნიერების სტრატეგიების დაუფლებასა და დანერგვას პრაქტიკაში სამშვიდობო განათლებით, ქართული და აფხაზური საზოგადოებების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ 2030 წლამდე დასახული მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებზე ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის წინადადებები (ავვისტო-სექტემბერი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა გაეროს მიერ 2030 წლამდე დასახული მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებზე პასუხისმგებლობის განაწილების ფარგლებში შეიმუშავა შემდეგი წინადადებები:

გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური მიზანი - 5: „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება“:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დისკრიმინაციის შესახებ. შესაბამისი კომპეტენტურ ორგანოებთან კომუნიკაცია და მათ დასაძლევად შესაბამისი გეგმის და მეტი ნორმატიული აქტის შემუშავება
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა და გოგონათა უფლებების შესახებ. მათი უფლებების დასაცავად კანონმდებლობის განმტკიცება და გასაჯაროება
- მეტი ქალისა და გოგონას ჩართვა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. შესაბამისი ვაკანსიების და გარემოს შექმნა აღნიშნულ პროცესში მათი

ჩართულობის მიზნით. საკუთარი შესაძლებლობების (ცოდნისა და გამოცდილების) რეალიზების მიზნით პროფესიული გადამზადების, ტრენინგების ჩატარების ხელშეწყობა და ქალთა და გოგონათა დასწრების უზრუნველყოფა

- მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა და წახალისება
- სამედიცინო სადაზღვეო პირობების გაუმჯობესება შესაბამის სადაზღვეო კომპანიებთან თანამშრომლობით
- გენდერული თანასწორობის განმტკიცება შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით. შესაბამის გარემოში შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა. საზოგადოებაში მიღებული და აღიარებული გენდერული უფლებების დაცვა შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებით

გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური მიზანი - 16: „მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე“:

- მთავრობასთან და საზოგადოებასთან ერთად კონფლიქტის(რომელიც ძალადობის შედეგია) დარეგულირება და უსაფრთხოების დაცვა/შენარჩუნება. ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ძალადობის რისკს
- ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საკითხის ერთობლივად განხილვა და საერთო სტრატეგიის შემუშავება; იარაღის წარმოების შემცირება
- ინტეგრირებული მიდგომა სამართლიანობის, მშვიდობისა და ინკლუზიური საზოგადოების დასაწინაურებლად; ინსტიტუტების დაკომპლექტება კომპეტენტური პერსონალით (მათ შორის ინკლუზიური)
- სხვადასხვა სფეროში მიმდინარე კონფლიქტების (რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას) დამლევის ხელშეწყობა; განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვა ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, მათი რესურსის მაქსიმალურად მობილიზება საერთაშორისო პროცესებში
- სხვადასხვა სოციალური ქსელების შექმნა და გაფართოება; თავისუფლების შემზღვევა (თუ ის კანონს არ ეწინააღმდეგება) ყველა მექანიზმის შემცირება/აკრძალვა

გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური მიზანი -17: „პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად“

- ცოდნის, ტექნოლოგიების, ფინანსური რესურსების მობილიზება

- გლობალური გამოკითხვა, პრიორიტეტების განსაზღვრა, ინტეგრირებული მიდგომა პრობლემის გადასაჭრელად
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად
- კომუნიკაციისა და კონტაქტების გაძლიერება საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- გლობალური სოლიდარობის გაძლიერება, აღნიშნული პრობლემის დასაძლევად; თითოეული ქვეყნის მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარება; დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. მმართველი კომპეტენტური ორგანოების მიერ ლიბერალური საგადასახადო სისტემის შექმნა

„ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის“ (20-27 სექტემბერი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ პარტნიორობით „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის“ პროგრამის ფარგლებში განახორციელა პროექტი, რომელის მიზანი იყო:

- ერთი კვირის განმავლობაში ზუგდიდსა და მის შემოგარენში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა;
- მოზარდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, გუნდური უნარ - ჩვევების გამომუშავება, ადამინის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- მოხალისეობისა და აქტიური მოქალაქეობის წახალისება, კრეატიული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;

კვირეული გაიმართა ზუგდიდსა და თბილისში. პროგრამის პარალელურად მოეწყო კულტურულ-შემეცნებითი ტურები.

პროექტის დასრულების შემდეგ შემაჯამებელი შეხვედრები ჩატარდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, სსიპ „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში“. აფხაზეთის მთავრობაში პროექტის მონაწილე ახალგაზრდებს შეხვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ვახტანგ ყოლბაია, რომელმაც დადებითად შეაფასა ჩატარებული სამუშაო და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები ხელს

უწყობს ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას პროცესებში, რომელიც ემსახურება ნდობის აღდგენასა და შერიგებას. ღონისძიებაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა ასევე სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორმა ბატონმა გიგა გაბელაიამ და ამავე ცენტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ბელა სარიამ.

მიმდინარე პროექტების ჩამონათვალი

ფოტოკონკურსი „საერთო ტრადიციებით საერთო მომავლისკენ“

ფოტოკონკურსის ჩატარების ადგილი და თარიღი შეთანხმების პროცესშია

ფოტოკონკურსის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:

- ა) ფოტოკონკურსის რეგისტრაციის ფორმის შემუშავება;
- ბ) კომპეტენტური პირების შერჩევა, რომლებთა კონსულტაციის შედეგად მოხდა მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა;
- გ) სოციალური გვერდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს, მის ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება ფოტოკონკურსის შესახებ;
- ე) ფოტოკონკურსის საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობა (მონაწილეთათვის გადასაცემი სერთიფიკატების დიზაინის, ნომინაციებისა და პრიზის განსაზღვრა);
- ვ) ფოტოკონკურსისათვის ჟიურის სავარაუდო წევრებთან შეხვედრა

პროექტის განხორციელებამდე მინისტრის აპარატის მიერ შესრულებული სამუშაოები:

- კონცეფციის შემუშავება
- სოციალური გვერდის შექმნა, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ორიექტის შესახებ და რეგისტრაციის ფორმა
- რეგისტრაციის ფორმის შემუშავება
- საინფორმაციო კამპანიები სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტებთან
- სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხზე მუშაობა (ლოგოს შექმნა, ბანერი, ფოტოების დაბეჭდვა და მოლბერტებზე განთავსება, ჟიურის შერჩევა, საგამოფენო სივრცე)

კულტურათმორისი დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში
(13-19 ნოემბერი, 2016)

რომუალოდ დელ ბიანკოს ფონდის მხაზრდაჭერით 13-19 ნოემბერს ფლორენციაში ჩატარდება საერთაშორისო სტუდენტური ინტერდისციპლინარული ვორქშოფი „კულტურათმშორისი დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში“, რომელსაც ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწყევს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი სხვა სახელმწიფო, სასწავლო და არასამთვრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა წარმოადგენს ევროკავშირთან სტრატეგიული თანამშრომლობის ამბიციურ პროექტს, რომლის პრიორიტეტული მიმართულებაა პარტნიორ ქვეყნებთან კულტურული თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. ევროინტეგრაციის საერთო კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურულ დიალოგსა და თანამშრომლობას. აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის თემატური პლატფორმა - „ადამიანებს შორის კონტაქტები“ - ხელს უწყობს კულტურათა დაახლოებას, სხვადასხვა საზოგადოებას შორის ტოლერანტული განწყობის ჩამოყალიბებას და სოციალური სოლიდარობის განვითარებას. კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურათმშორისი დიალოგი წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და ხაზს უსვამს კულტურის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობას პოლიტიკური პროცესების მართვასა და გამოწვევების დაძლევაში. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი კულტურული ტრადიციებითა და ღირებულებებით. სემინარის მიზანია პროგრამაში მონაწილე ქვეყნების ახალგაზრდებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლა ნაციონალური კულტურის სფეროში როგორც რეგიონის შიგნით, ისე ევროკავშირის ქვეყნებთან. სტუდენტობის ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამეზობლო პოლიტიკის გაძლიერებას, რადგან უახლეს მომავალში ისინი თვითონ იქნებიან სამეზობლო პოლიტიკური პროცესების უშუალო მონაწილენი.

მიმდინარეობს შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:

- აღნიშნულ პროექტში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა და კოორდინირებული მუშაობა. ეს ქვეყნებია: იტალია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა;
- რომუალოდ დელ ბიანკოს ფონდის გენერალურ მდივანთან და ფონდის საორგანიზაციო საკითხების სამსახურთან აქტიური თანამშრომლობა;
- ლოჯისტიკურ და სავიზო საკითხებზე შესაბამის დაწესებულებებთან მოლაპარაკება და კოორდინირება;
- მიმდინარეობს თანხების მოძიება
- პროფესორებისა და სტუდენტების შერჩევა;

- ჯგუფების დაკომპლექტება და ფორქშოფის თემატიკასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხზე მუშაობა;
- პრეზენტაციის მომზადება 4-5 სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ (აღნიშნულ ჯგუფებში იქნებიან: ქართველი, აფხაზი, აზერბაიჯანელი, სომეხი, უკრაინელი სტუდენტები).

სტუდენტები მოხსენებას/მოხსენებებს გააკეთებენ მათ მიერ არჩეულ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე:

- რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების, უმცირესობების საკითხები თანამედროვე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ სივრცეში;
- ძველი ცივილიზაციები და თანამედროვეობა
- მატერიალური და არამატერიალური კულტურული ძეგლები;
- კულტურული ტურიზმის გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები
- აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა - გამოწვევები და პერსპექტივები
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი, როგორც კონფლიქტური რეგიონებიდან ახალგაზრდების დაახლოების საშუალება და პრაქტიკული ნაბიჯები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის

პროექტის მიზანია პროგრამაში მონაწილე ქვეყნების ახალგაზრდებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლა ნაციონალური კულტურის სფეროში როგორც რეგიონის შიგნით, ისე ევროკავშირის ქვეყნებთან. სტუდენტობის ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამეზობლო პოლიტიკის გაძლიერებას, რადგან უახლეს მომავალში ისინი თვითონ იქნებიან სამეზობლო პოლიტიკური პროცესების უშუალო მონაწილენი. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სამოქალაქო თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას.